განმარტებითი ბარათი

„საქართველოსა და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ“ 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების პირობების საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისზე გავრცელების შესახებ“ წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების თაობაზე

არსებული პრაქტიკის თანახმად, გაეროს საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისი (UNOPS) აფორმებს შეთანხმებებს საპროგრამო ქვეყნების მთავრობებთან, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმდებიან, რომ მასპინძელ სახელმწიფოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის მოქმედი ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების (SBAA) პირობები გავრცელდება UNOPS-ზე.

საქართველომ გაეროს განვითარების პროგრამასთან ამგვარი ხელშეკრულება გააფორმა 1994 წლის 1 ივლისს („საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულება), რომელიც დროებით გამოიყენებოდა მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდგომ.

ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულება წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს UNDP-ისა და ქვეყნის მთავრობას შორის თანამშრომლობის საბაზისო პირობებს, თუმცა იგი ავტომატურად არ ვრცელდება UNOPS-ზე;

ამრიგად, გაერო, თავისი საქმიანობის სათანადოდ განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, ქართულ მხარეს სთავაზობს, UNOPS-ზე საქართველოს მთავრობასა და UNDP-ის
შორის 1994 წელს დადებული SBAA-ის პირობების გავრცელების თაობაზე, შეთანხმება დაიდოს შესაბამისი წერილების გაცვლის გზით.

წერილების გაცვლა ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას, რამეთუ 1994 წლის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმუნიტეტები და პრივილეგიები, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება 1946 წლის 13 თებერვლის გაეროს იმუნიტეტებისა და პრივილეგიების შესახებ კონვენციას (მუხლი II, სექცია), მოიცავს *inter alia* „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ დაწესებული გადასახადებისაგან გათავისუფლებას. კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად კი ამგვარი ფორმულირების მქონე ხელშეკრულება საჭიროებს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.